# გარეჯის მაცნე



საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №17(247) 2021 წ. 1-15 სექტემბერი ფასი 1 ლარი

## ადგილობრივი არჩევნები – 2021

### №11 საგარეჯოს საარჩევნო ოლქში 2021 წლის 2 ოქტომბრის ადგილობრივ არჩევნებში მონაწილე პარტიები

№ 1 „მესამე ძალა“
№ 2 „ევროპული საქართველო-მოძრაობა თავისუფლებისთვის“
№ 5 „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა”
№ 8 „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“
№ 9 „ლელო“
№ 10 „შალვა ნათელაშვილი-საქართველოს ლეიბორისტული პარტია“
№ 25 გახარია - საქართველოსთვის
№ 36 „გირჩი“
№ 37 თავისუფალი საქართველო (ზაზა ხატიაშვილი, კახა კუკავა, გრიგოლ ჯოჯუა)
№ 41 ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო

## 2021 წლის 2 ოქტომბრის საგარეჯოს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოსა და თვითმმართველი მუნიციპალიტეტის მერის არჩევნებისთვის რეგისტრირებული პარტიული სიები (7 სექტემბრის მდგომარეობით)

**რიგითი ნომერი, სახელი, გვარი**

**№ 1. „მესამე ძალა“**

1 თეიმურაზი მჭედლიშვილი
2 მაია მარგებაძე
3 გივი ჩახვაშვილი
4 იაგო ქავთარაძე
5 მარინე ცუკილაშვილი
6 გურამ სიბაშვილი
7 დავით იაკობიშვილი
8 მარიამ ვარდოშვილი
9 ქეთევან კვეზერელი
10 ელენე ტერ-ოგანეზოვი
11 ლაშა მაისურაძე
12 შორენა მჭედლიშვილი
13 ცოტნე გახოკიძე
14 იგორი პოღოსოვი
15 ჰასმიკ მოვსესიანი
16 გაგიკ ხურიანი
17 ლამარა გოდელაშვილი
18 გაური ჭიჭიაშვილი
19 გიორგი ინაძე
20 ლარისა რევაზაშვილი
21 პელაგია თანიაშვილი
22 თამაზი ჩალაბაშვილი
23 ციალა ლელაშვილი
24 გელა ენუქაშვილი
25 ჰამლეტ პარუნოვი
26 სვეტლანა მჟავია
27 ლეონ არუთინოვი
28 ნათელა ყაზარაშვილი

**№ 2. „ევროპული საქართველო-მოძრაობა თავისუფლებისთვის“**

1 ამირან სონიშვილი
2 ივანე ჭიაურელი
3 ელისო შიოშვილი
4 გიორგი ქურხული
5 გიორგი მესხიშვილი
6 ნათია კუჭუაშვილი
7 გოჩა გიქორაშვილი
8 აჟდარ ალიევი
9 თამარ თულაშვილი
10 ვასილი ყიასაშვილი
11 არჩილი ყანდინაშვილი
12 ნინო მახარიკაშვილი
13 ბექა ასლამაზაშვილი
14 ნიკოლოზ თუშიშვილი
15 მარიამი ქურხული
16 მუსა ალიევი
17 ზურაბი გიქორაშვილი
18 დიანა გრძელიშვილი
19 მიხეილი გაბროშვილი
20 გულიკო გრძელიშვილი
21 გელა სონიშვილი
22 შალვა თედიაშვილი
23 ნინო საგინაშვილი
24 ბექა ხუციშვილი
25 ზურაბი ქურხული
26 გულიკო დათუნაშვილი
27 გიგა თუშიშვილი
28 მზია ბიწაძე
29 თეირანი თუშიშვილი
30 ბექა ბეჟიაშვილი
31 თეონა როჭიკაშვილი
32 მირიანი მესხიშვილი
11 საგარეჯო 33 ანდრეი კიკნაძე

**№5. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა”**

1 გარსევან ბუხნიკაშვილი
2 ოთარი ურდულაშვილი
3 ლელა ქვრივიშვილი
4 შალვა ჯაბადარი
5 გია ბუჩაშვილი
6 ნინო ბუზიაშვილი
7 კახა უცუნაშვილი
8 დავითი დიღმელაშვილი
9 მაია შიოშვილი
10 ოთარ გურგენიძე
11 რამიზ ეიბოვი
12 მაკა არჩუაძე
13 ალიკა ბუჭყურაშვილი
14 გიორგი ციქურიშვილი
15 ლია თანდილაშვილი
16 პაატა კანჯარაშვილი
17 ავთანდილი უდუმაშვილი
18 ლელა ასრათაშვილი
19 მახმუდ ალიევი
20 გიორგი ჭიკაძე
21 მაკა მჭედლიძე
22 ივანე დიდებაშვილი
23 ვახტანგ ოდიკაძე
24 ლალი ჯიღაური
25 თამაზი კალანდაძე
26 ალექსანდრე ქურდოვანიძე
27 თამარი ურდულაშვილი
28 გოდერძი დიღმელაშვილი
29 მზია მეკოკიშვილი
30 მაია ერბოწონაშვილი

**№8. „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“**

1 სოსლან გარსევანიშვილი
2 მევლუდ დუჩიძე
3 მაია როსტიაშვილი
4 გიორგი კოხტაშვილი
5 ავთანდილი ქურხული
6 ირმა ზუკაკიშვილი
7 გოჩა ბერიტაშვილი
8 ნოდარი ფირანიშვილი
9 ნატო გულბანი
10 ტრისტანი ჭიაბერაშვილი
11 გიორგი კავთუაშვილი
12 მაია რევაზიშვილი
13 თამაზი აბგაიძე
14 გივი ელერდაშვილი
15 ნათელა მარიდაშვილი
16 გივი ასლამაზიშვილი
17 გიორგი ლოლაძე
18 გულნარი გულაღაშვილი
19 მერაბი მამუკაშვილი
20 ზაური ლუცუბიძე
21 ნინო ივანიაშვილი-მამუკაშვილი
22 გივი ბორაშვილი
23 უშანგი ხინჩაგაშვილი
24 თეა გოგრიჭიანი-მეკოკიშვილი
26 ვასილ მამისაშვილი
27 ნელი სადუნაშვილი
28 გივი მღებრიშვილი
29 ლეილა თიღილაური

დასასრული მე-2 გვერდზე

# მუნიციპალური გვერდი

## საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის თათბირი

**6 სექტემბერი, 2021 წელი**



**საგარეჯოს** მუნიციპალიტეტის მერიის სამშაბათის ტრადიციულ თათბირს ***ამავე მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე* გიორგი ლალიაშვილი** უძღვებოდა.

თათბირის დასაწყისში მან საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფლებში „რთველი-2021"-თან დაკავშირებული საკითხები გამოიკითხა. როგორც აღმოჩნდა, ზოგიერთ სოფელში ჭირს ინტერნეტის გამართული მუშაობა, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს ვენახებზე საკადასტრო ცნობების გაცემას.

თათბირზე მან ასევე, ვრცლად და საფუძვლიანად გამოიკითხა არსებული პრობლემები, მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების ყოველდღიური მდგომარეობა და მერის წარმომადგენლებს კიდევ ერთხელ სთხოვა, მეტი ყურადღება გამოიჩინონ ინფრასტრუქტურული პროექტების მიმართ მშენებელთა მხრიდან სამუშაოების ხარისხიანი შესრულებისათვის.

თათბირზევე მოხდა მნიშვნელოვანი საკითხების მოგვარების გზების დასახვა.

## 2021 წლის 2 ოქტომბრის საგარეჯოს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოსა და თვითმმართველი მუნიციპალიტეტის მერის არჩევნებისთვის რეგისტრირებული პარტიული სიები (7 სექტემბრის მდგომარეობით)

**დასასრული**

30 ამალია ჯაფოშვილი-ოზგელდოვი
31 ბაბულია კაკიაშვილი
32 ანტონ ქურთიშვილი
33 ხვთისო ჭიაბერაშვილი

**№9. „ლელო"**

1 თამარ ყორღანაშვილი
2 თორნიკე ჩუნთიშვილი
3 გიორგი ჭავჭანიძე
4 ნაზი სამუნაშვილი
5 გიორგი ბაქრაძე
6 სოლომონი გრძელიშვილი
7 თეა ბუზარიაშვილი
8 სიმონი ბერიაშვილი
9 გურამი სამუნაშვილი
10 ანა ბუზარიაშვილი
11 კვირია ჭინჭარაული
12 დიმიტრი საბაშვილი
13 ხატია გრძელიშვილი
14 სულხანი ოგანოვი
15 შახვალათ ხეირხაბაროვი
16 ვერა ქვლივიძე
17 ნიკო ღვინაშვილი
18 გელა ყორღანაშვილი
19 მარიამ კევლიშვილი
20 პაატა ჩუნთიშვილი
21 გიორგი კვერაშვილი
22 ეკატერინე ქურხული
23 გიორგი გზირიშვილი
24 გოგა ხითარიშვილი
25 ცირა ქოცუაშვილი
26 რამინ ედიგაროვი
27 გოჩა ლაშქარაშვილი
28 გიორგი თიბიაშვილი
29 გუმბათ ახმედოვი

**№10. „შალვა ნათელაშვილი-საქართველოს ლეიბორისტული პარტია"**

1 დავით ხოსიტაშვილი
2 ნინო ოზგელდაშვილი
3 ნანა კახაბრიშვილი
4 ზურაბი ჯამალაშვილი
5 ნატო ბეჟიტაშვილი
6 თამარ კევლიშვილი
7 ცისნამი ყაულაშვილი
8 ციური გიუნაშვილი
9 კობა ყაულაშვილი
10 ნათელა მოსაშვილი
11 შუქრია წიკლაური
12 ნიკოლოზ დაუშვილი
13 ნატა ადეიშვილი
14 სოფიკო აკოფაშვილი
15 ლაშა ჯანიბეგაშვილი
16 ეკატერინე გულუა
17 ნათია ბოხუა
18 ალექსანდრე ფაროიან
19 უჩა ვაჩეიშვილი
20 იზა ბობოხიძე
21 ლევანი აფციაური
22 თინათინი კევლიშვილი
23 სულხანი კევლიშვილი
24 ლევანი კევლიშვილი
25 ელენე კევლიშვილი
26 გივი კევლიშვილი
27 ნუნუ გიუნაშვილი
28 მზევინარი ბარამაშვილი
29 ლევანი დიღმელაშვილი

**№25. გახარია - საქართველოსთვის**

1 მარინე თოლომაშვილი
2 თოზუ გულმამედოვა
3 ვახტანგ ნიორაძე
4 ქეთევანი ხატიაშვილი
5 ნინო გელაშვილი
6 ვლადიმერი სტოროჟუკ
7 ანა გაგუა
8 გიორგი კარანაძე
9 მურმან კვანტალიანი
10 სალომე კრაველიძე
11 ოთარ შელეგია
12 გელა ქოქოევი
13 თამარ ბუბაშვილი
14 გიორგი როგავა
15 მელიტონ სულაბერიძე
16 ანა ჯანელიძე
17 ბესიკ ჭოჭუა
18 ილია გულბათაშვილი
19 ლელა პაპიაშვილი
20 ბესიკ კინწურია
21 ნანული ადამია
22 ბესარიონ ბუჩუკური
23 იულია თვაური
24 დავით ხუბულური
25 მარიამ ცხადაძე
26 ზვიად კაკავა
27 ტატიანა ნოზაძე
28 თეონა გოგოლიძე
29 ბესიკ ჩემია
30 ნინა ბოროვსკაია
31 ნიკოლოზ ტყემალაძე

**№36. „გირჩი"**

1 ალექსანდრე რაქვიაშვილი
2 მაია შიოშვილი
3 გიორგი კურდღელაშვილი
4 ივანე დარისპანაშვილი
5 ნონა ხუციშვილი
6 გიორგი ტაბატაძე
7 შოთა დოლიძე
8 შორენა ტაბატაძე
9 შალვა კაიშაური
10 ნარგილა ნოვრუზოვა
11 ალექსანდრე კუპატაძე
12 ზურაბი მღვდელაძე
13 ლიანა ჩხაიძე
14 სერგო გაბაშვილი
15 ლაშა რუხაძე
16 ანა მაისურაძე
17 თამაზი მჭედლიშვილი
18 ნუგზარ თევზაძე
19 ლეილა ლაფერიშვილი
20 მახმად ქარიმოვი
21 მარინე შარმიაშვილი
22 ლია ქვრივიშვილი
23 ნუგზარი ბათულაშვილი
24 მაია ბახტურიძე
25 ჯინა ჯინჯოლავა
26 ლერი მგელაძე
27 მარინე აბულაშვილი
28 ნანული ჭაბაშვილი

**№37. თავისუფალი საქართველო (ზაზა ხატიაშვილი, კახა კუკავა, გრიგოლ ჯოჯუა)**

1 ქეთევან ურდულაშვილი
2 ვალერიანი ქარსაულიძე
3 ნინო ურდულაშვილი
4 მარინე ხაბარაშვილი
5 გვანცა მეტრეველი
6 ნიკა ქვლივიძე
7 მზია არჩუაძე
8 ფრიდონი არჩუაძე
9 ზაზა ფირყულაშვილი
10 დავითი არჩუაძე
11 დავითი გაბროშვილი
12 ნინო შენგელია
13 ლელა ჟამიაშვილი
14 თამაზი სანთელაძე
15 ქეთევან სანთელაძე
16 ნათია დოლენჯაშვილი
17 თამარი მჭედლიშვილი
18 გიორგი ჩერქეზიშვილი
19 მარიამ გაბროშვილი
20 ტარიელი არჩუაძე
21 ლია გაბროშვილი
22 სოფიო კოტორაშვილი
23 ნინო ხიზანიშვილი
24 ალექსანდრე გაბროშვილი
25 ნონა ბორაშვილი
26 ნათია გაბროშვილი

**№41. ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო**

1 ალექსი გილაშვილი
2 გივი ბედიაშვილი
3 ლელა ფანოზიშვილი
4 გიორგი თათრიშვილი
5 ოთარ ჩალათაშვილი
6 ელენე სამხთუაშვილი
7 სოსო ჭიკაძე
8 ლევან როსტიაშვილი
9 ლელა მარიდაშვილი
10 გიორგი მამისაშვილი
11 ვეფხია ჩერქეზიშვილი
12 მზია მახარობლიშვილი
13 ბესიკ მარტიაშვილი
14 იქრამ ბაირამოვი
15 ნუნუ გზირიშვილი
16 ეთბარ ილიასოვი
17 ზურაბ შინდელაშვილი
18 ციალა გოჯიტაშვილი
19 ზაზა მამისაშვილი
20 ნიკა მემარნიშვილი
21 ნინო ქურხული
22 კახაბერი ჩალათაშვილი
23 მიხეილი ობოლაშვილი
24 ლეილა ოთარაშვილი
25 თამაზი ურდულაშვილი
26 სანდრო უსტიაშვილი
27 გვანცა საგინაშვილი
28 გიორგი აზარიაშვილი
29 კახაბერ გოგიშვილი
30 ნანა მარმარაშვილი

## ჩვენი სოფელი

### წერილი გაზეთის რედაქციას

# მადლიერების მისამართები როცა ასეთ მზრუნველობას გრძნობ




**მუხროვანი** საგარეჯოს მუნიციპალიტეტის უჯარმის თემში შემავალი ერთ-ერთი ულამაზესი სოფელია, სუფთა ჰაერით, მარადმწვანე ტყით, კოპწია, ლამაზი სახლებით და სახლებთან ლამაზი ბაღებით. აქ გამრჯე, კეთილი და მშრომელი ადამიანები ცხოვრობენ. აქაური ახალგაზრდა ვაჟები აქვე განლაგებულ სამხედრო ნაწილის სხვადასხვა საპასუხისმგებლო ადგილებზე მსახურობენ, ზოგი სოფლის გარეთ სამუშაოებზეა დასაქმებული.




სოფლის დიდი გულშემატკივრები აქაური მცხოვრებლებია. ისინი ყველანაირად უფრთხილდებიან სოფლის სახელს. გრძნობენ იმ მისიას, რომ აქ განლაგებულია საქართველოს შეიარაღებული ძალების ყველაზე მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი. ამიტომაც დიდი გულისხმიერებით და ყურადღებით არიან სოფლის პრობლემების მიმართ ***საგარეჯოს მერის წარმომადგენელი უჯარმის თემში* დავით აბელაშვილი** და ***თემის მაჟორიტარი დეპუტატი საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოში* – ზურაბ შინდელაშვილი.** ისინი განსაკუთრებული მზრუნველობით არიან სოციალურად დაუცველი, მარტოხელა დედების და მრავალშვილიანი ოჯახების მიმართ. არ არსებობს საკითხი, რომელიც მათ მიერ არ იყოს მოგვარებული. მერის წარმომადგენელი ხშირად გვინახავს სამუშაო ფორმაში, ის მუხროვანელებთან ერთად დგას იმ კრიტიკულ ადგილას, სადაც ფიზიკური მუშაობაა საჭირო, თავს არასოდეს აარიდებს მიწის სამუშაოებს, ხელებდაკაპიწებული ხელმძღვანელობს ყოველგვარი პრობლემის მოგვარებას. ეს რა თქმა უნდა, დიდ სტიმულს აძლევს აქაურებს და რისი ფიზიკური შრომით მოგვარებაც შეიძლება, ერთად, ორივე ახალგაზრდის ჩართულობით, დიდი ენთუზიაზმით აკეთებენ.




მე თბილისში მცხოვერბი ვარ. აქ საზაფხულო აგარაკი აქვს ჩემს ოჯახს. უფრო ხშირად ზაფხულის პერიოდში ვართ აქ და დამიჯერეთ, გვსიამოვნებს ამ ორი ახალგაზრდის და აქ ძირითადად მცხოვრები ადამიანებისგან გამოჩენილი ყურადღება, თანადგომა, პრობლემების ერთად მოგვარების სურვილი და მიზანდასახული საქმიანობა. ყურადღებას, რომელსაც დავით აბელაშვილი იჩენს თითოეული მოსახლის მიმართ, შეიძლება ზოგს დაუჯერებლად მოეჩვენოს, მაგრამ მე პირადად ვნახე მისი მზრუნველობა. ჩემი სასმელი წყლის მილი დაზიანებული იყო, მან უსასყიდლოდ მოიტანა მილები და ჩემი კეთილი, შრომისმოყვარე მეზობლის – ალექსანდრეს დახმარებით დაიწყეს მილების გამოცვლა. თავად ალექსანდრეც ყველას მიმართ ყურადღებიანია.



სოფელში შემოგვიყვანეს ბუნებრივი აირი, რამაც ძალიან გაგვიადვილა საყოფაცხოვრებო პირობები. გვაქვს ქუჩებში ღამის განათება, პრობლემას და კონკრეტულად, დეფიციტს არ წარმოადგენს სარწყავი წყალი. უახლოეს მომავალში აქ მოწესრიგდება ქუჩები, პარალელურად მოხდება სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია. ვიმედოვნებთ, რომ ეს ასეც იქნება, რადგან დავით აბელაშვილსა და ზურაბ შინდელაშვილს გვერდში აქტიურად უდგანან და ცდილობენ სოფლისათვის ლამაზი იერ-სახის მიცემას შალვა მაჭარაშვილი, ზაზა და რამაზ ქავთარაძეები, , დავით ღოთვაძე, ნუგზარ მუმლაძე, გელა ლოლაძე და ალექსანდრე ნავროზაშვილი. აქ, ამ სოფელში ცხოვრობს გია დევიძეც, რომელიც არანაკლებ ზრუნავს სოფლის გალამაზებაზე. სწორედ მან დაამზადებინა და მოსახლეობას უსასყიდლოდ გადმოგვცა დამისამართების ნომრები. მალე სოფელში გალამაზებულ ქუჩებს სხვა, უფრო თბილი უბნები დაერქმევა, ერთს უკვე ჰქვია „განათლების“ ქუჩა.

მე იმედი მაქვს, რომ ამ სოფელში მცხოვრები ახალგაზრდა მოსახლეობის და დავით აბელაშვილისა და ზურაბ შინდელაშვილის მაგალითზე სოფელში ჭეშმარიტად ქართული სულის ახალგაზრდებად დაიზრდებიან ის ბავშვები, რომლებიც დღეს სოფელში გაკეთებულ ყველა სიკეთეს აღფრთოვანებით, ბავშვურად გაცისკროვნებული სახეებით ხვდებიან, მომავალში ისინიც იზრუნებენ სოფლის კეთილდღეობაზე.



რაც შეეხება პრობლემას, აქ სასმელი წყალი წარმოადგენს, რომელსაც ჯერ-ჯერობით კეთილი ნებით საქართველოს შეიარაღებული ძალების კუთვნილი ნაწილიდან გვაწვდიან. მომავალ წელს კი სოფელში ეს პრობლემაც მოგვარდება.

წარმატებები მინდა ვუსურვო თემის სოფლების გულშემატკივარ ახალგაზრდებს.

*ია გოგრიჭიანი,*
***სოფელი მუხროვანი***

# ამომრჩეველს ანგარიშს აბარებს დეპუტატი

***ზურაბ შინდელაშვილი* უჯარმელია. ზურაბს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოში სულ ორიოდე წლის წინ უჯარმის თემის მოსახლეობამ რიგგარეშე არჩევნებზე გამოუცხადა ნდობა. ხალისიანი, ყურადღებიანი, პასუხისმგებლობით გამსჭვალული თავისი მოვალეობის მიმართ – ასე ახასიათებენ მას სამივე თემის მოსახლეობა და არა მარტო ისინი, მთის სამივე ჩვენი თემი.**

***დღეს ზურაბი ორ წელიწადში გაწეული მუშაობის ანგარიშით წარდგება ჩვენი გაზეთის მკითხველის წინაშე.***



– 2004 წლიდან 2008 წლამდე ვცხოვრობდი გერმანიაში. ვმუშაობდი შპს „ნეოგაზში“ ცვლის უფროსად, შემდეგ ვმუშაობდი შპს „ენერგო პრო“-ში აღრიცხვის სამსახურში, შემდეგ შპს „ფოვერ ექსპორტში“ ტექნიკურ მენეჯერად, შემდეგ შპს „გაზკონტროლში“ ორ პოზიციაზე – ხარისხის მენეჯერად და უსაფრთხოების მენეჯერად“.



– როცა ხალხმა ნდობა გამომიცხადა და დამასახელა დემუტატობის კანდიდატად პირველ რიგში ვიგრძენი უდიდესი პასუხისმგებლობა ჩემი სოფლის მოსახლეობის წინაშე და მიზნად დავისახე – თავი არ დამეზოგა სოფლის საკეთილდღეოდ, არ გამეცრუებინა მათი იმედები.

– სოფელში უპირველესად სასმელი და სარწყავი წყლის მოწესრიგება იდგა დღის წესრიგის №1 საკითხად, რაც მეტნაკლებად მოვახერხეთ, მაგრამ კიდევ სამუშაოა ამ საკითხზე, რომ ყველა მცხოვრებს 24 საათიანი ხარისხიანი, წყალი მიეწოდებოდეს.

კონკრეტულად კი, ჩემი დეპუტატობის პერიოდში გაკეთდა:

ა) უჯარმის საბავშვო ბაღის შიდა და გარე სარემონტო სამუშაოები.

ბ) უჯარმის საჯარო სკოლის შიდა სარემონტო სამუშაოები, სკოლოს ტერიტორიაზე დამონტაჟდა ტრენაჟორები, გაკეთდა სარბენი ბილიკები და აღდგენითი სამუშაოები ჩაუტარდა სტადიონს. დაემატა ფრენბურთის მოედანი.

გ) გაკეთდა სკვერი.

დ) გაიწმინდა სასმელი წყლის სათავე ნაგებობები.



ე) დამონტაჟდა წყლის რეზერვუარები.

ვ) ამოიცვალა სასმელ წყალზე ერთ კილომეტრიანი მილი და შეიცვალა ჩამკეტები.

ზ) სოფლის ერთ უბანში მოეწყო დახურული სარწყავი წყალი.

თ) სოფლებში: უჯარმაში, პალდოში, მუხროვანში დამონტაჟდა გარე განათებები.

ი) უჯარმაში, მუხროვანში, პალდოში მოიხრეშა შიდა საუბნო გზები.

კ) მუხროვანში და პალდოში შევიდა ბუნებრივი აირი

სოფლებისთვის ზემოთ ჩამოთვლილი საკითხთაგან ყველა გაკეთებული საქმე მყისიერად მოსაგვარებელი იყო



***გასაკეთებელი*** კიდევ ბევრია, მაგრამ, გამოვყოფდი ***რამოდენიმე საკითხს:***

ა) 24 საათიანი წყალი ყველა მაცხოვრებელს.

ბ) აშენდეს დახურული სპორტული დარბაზი, რომ მომავალი თაობები მეტად ჯანსაღი ცხოვრებით აღიზარდნენ.

გ) ასევე, ჩვენს სოფლებს უჯარმას, მუხროვანს, პალდოს მიექცეს ტურისტულად მეტად ყურადღება რომ მოსახლეობამ ფინანსურადაც იგრძნოს კეთილდღეობა და უფრო ცნობადი გახდეს ჩვენი ლამაზი მხარე.

მაგრამ აქვე მინდა, ხაზი გავუსვა იმას, რომ მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი უჯარმის თემში დავით აბელაშვილთან ერთად მიხდებოდა მუშაობა, ჩვენ ერთად განვიხილავდით ყველა პრობლემურ საკითხს და ერთად ვახდენდით მისი მოგვარების გზების დასახვას. ერთად ფიზიკურადაც გვიმუშავია, რაზედაც მინდა მადლობა მოვუხადო მას და წარმატებები ვუსდურვო თემში შემავალი სოფლების წინაშე მდგომი პრობლემური საკითხების მოგვარების საქმეში.

## სწავლის დაწყების მოლოდინში
# სკოლის ზარის დარეკვა კვლავ გადავადდა



**კოჭბანის** *თემის სოფლების – გორანის, ვაშლიანის, სასადილოს, ოთარაანთკარის კოჭბანის მოსწავლეებს სოფელ კოჭბანში არსებული საჯარო სკოლა (მენეჯერი* **თამარ წიკლაური***) ემსახურება.*

**ცნობისათვის:** *თამარ წიკლაური 2011 წლიდან კოჭბანის საჯარო სკოლის დირექტორია.*

*სკოლის პედაგოგიური კოლექტივი ერთ მუშტად შეკრული, საქმიანი და მუდამ ახლის ძიებაში მყოფი გუნდია, რომელიც მიუხედავად მოსწავლეთა კონტიგენტის სიმცირისა, ყოველთვის ახერხებს ფეხი აუწყოს განათლების სისტემაში დანერგილ სიახლეებს, მოსწავლეებთან ერთად აღნიშნოს მნიშვნელოვანი დღესასწაულები, ჩაატაროს საინტერესო გაკვეთილები და მათმა მოსწავლეებმა აქტიურად მიიღონ მონაწილეობა სხვადასხვა ღონისძიებებში და მიაღწიონ გარკვეულ წარმატებებსაც.*



*სკოლის შენობა, თავდაპირველად 1987 წელს საბავშვო ბაღის აღსაზრდელებისთვის აშენდა, სკოლის შენობისათვის კი ადგილი სოფლის შუაგულში იყო გამოყოფილი, მაგრამ პოლიტიკურ პროცესებს „ენაცვალა“ პროექტი.*

*დღეს ერთსართულიან, ორ პატარა, კოპწია შენობაში შეყუჟული სკოლა მართლაც დიდ საქმეს ემსახურება. აქ მიღებული ცოდნით თემში შემავალი სოფლის ახალგაზრდობა წარმატებით აგრძელებს ცოდნის მიღებას საქართველოს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში. გასულ წელს სკოლის 5 კურსდამთავრებულიდან ორმა – ცირა მამუკაშვილმა და ლიკა აბგაიძემ ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის შემდეგ სტუდენტის მოწმობა მოიპოვეს.*

*საჯარო სკოლის მენეჯერის* **თამარ წიკლაურის** *თქმით:*

– ახალ სასწავლო წელს სკოლა 24 მოსწავლეს მიიღებს. ჩვენ 24 მოსწავლე გვეყოლება., გვექნება 11 საფინანსო კლასი, არ გვექნება მეორე კლასი. პირველი კლასის კარებს, რომლის პედაგოგიც მარიკა ფიცხელური იქნება, 4 მოსწავლე შეხსნის. მარიკა მასწავლებელმა 2019 წელს უფროსი მასწავლებლის სტატუსი მიიღო. ჩვენ გვყავს უფროსი მასწავლებლები: ხათუნა ბერიძე – რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, თამარ მუნჯიშვილი – ქიმიის მასწავლებელი, ფიზაღზრდის მასწავლებელი – ზაზა ხიზანიშვილი, წამყვანი მასწავლებლის სტატუსით არის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი – თამარ ნაჩხატაშვილი. სკოლაში დიდი ხნის პედაგოგობის





სტაჟი ისტორიის მასწავლებელს ნინო მუჩიაშვილს აქვს.

სკოლა ახალ სასწავლო წელს ნახევრადრეაბილიტირებული შენობით ხვდება. მუნიციპალიტეტის მერიის დაფინანსებით აქ შენობაში იქნა შემოტანილი საპირფარეშო ცხელი და ცივი წყლის მომსახურებით. საკლასო ოთახებიდან უმეტესობა კეთილმოწყობილია.

ჩვენი სკოლის მოსწავლეთა სოფლებიდან სკოლამდე გადმოყვანას და შემდეგ სახლებში დაბრუნებას ორი ავტომანქანა ემსახურება. ჩვენც და მოსწავლეებიც სულმოუთქმელად ველოდებით ახალი სასწავლო წლის დაწყება-გაგრძელებას სკოლის კედლებში.



# სწავლის დაწყების ვადები და რეგულაციები

**„იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილებით, ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიული, უმაღლესი სასწავლებლებისთვისა და საბავშვო ბაღებისთვის სასწავლო და სააღმზრდელო პროცესის ვადები განისაზღვრა:**

– სკოლები, პროფესიული და უმაღლესი სასწავლებლები 2021 წლის 4 ოქტომბრამდე სასწავლო პროცესს განახორციელებენ მხოლოდ დისტანციურად.

– საბავშვო ბაღებში სააღმზრდელო/სასწავლო პროცესი 2021 წლის 4 ოქტომბრამდე არ განხორციელდება.

– უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, რომლებიც მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამებს ახორციელებენ, უფლება აქვთ არადისტანციურ რეჟიმში ჩაატარონ პრაქტიკული, ლაბორატორიული და კლინიკური კომპონენტები მხოლოდ იმ სტუდენტებისათვის, რომლებიც სასწავლო პროცესის დაწყებისას იქნებიან სრულად ვაქცინირებულნი. ამასთან, ჩაატარონ სრულად ვაქცინირებული პერსონალის მეშვეობით და ჯანდაცვის რეკომენდაციების სრული დაცვით

– 2021 წლის 4 ოქტომბრიდან, იმ სოფელში, დაბასა და ქალაქში, სადაც ინფიცირების მაჩვენებელი იქნება 4%-ზე ნაკლები, საგანმანათლებლო დაწესებულებებს უფლება ექნებათ სასწავლო პროცესი განაახლონ არადისტანციურ რეჟიმში, ხოლო ინფიცირების 4%-ზე მეტი მაჩვენებლის შემთხვევაში, მხოლოდ დისტანციური სწავლებისა და საჭიროების შემთხვევაში, კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმის გამოყენებით.

# ჯერჯერობით დისტანციური სწავლებით



**საგარეჯოს** *I საჯარო სკოლას (მენეჯერი ლელა ფანოზიშვილი) დაარსებიდან დღემდე არაერთი თვალსაჩინო პიროვნება აღუზრდია, აქ ის ტრადიციები გრძელდება, რაც თითოეულ პედაგოგს, თითოეულ აქაურ მუშაკს მომავალი თაობისთვის აღზრდა-განვითარების საჭირო აუცილებელ პირობებს უქმნის მათთვისაც ისეთივე მტკივნეულია წლევანდელი ახალი სასწავლო წლის სექტემბერი, როგორც ყველა სხვა საჯარო სკოლების პედაგოგებისათვის საქართველოში. პანდემიამ ბევრად შეუშალა ხელი იმ სასწავლო პროცესების მაღალ დონეზე ჩასატარებლად, რასაც მეორე სასწავლო წელია გეგმავდნენ პედაგოგები.*

*გასული წლის შედეგებზე და სკოლის ახალი სასწავლო წლისთვის მზაობაზე გვესაუბრება სკოლის მენეჯერი* **ლელა ფანოზიშვილი:**

– ახალი სასწავლო წლიდან სკოლაში სწავლებას 770 მოსწავლე შეუდგება. მათგან პირველ კლასში – 78 მოსწავლე. სკოლაში 770 მოსწავლის მათ სწავლა-აღზრდას 47 მასწავლებელი მოემსახურება, სკოლაში 30 ფინანსური კლასია.



გასული 2020-2021 სასწავლო წელი დაასრულა 36 მოსწავლემ, აქედან ოქროს მედალოსნები არიან: თამარ ასთავიშვილი, ფიქრია საგინაშვილი, სოფო ესაიაშვილი, ნიკა პეტრიაშვილი, მარიამ ბაბუნიძე, მარიამ ბუჩაშვილი, ბექა როჭიკაშვილი, ბარბარა ბადრიშვილი, ნატა ქაიხოსროშვილი. უმაღლეს სასწავლებლებში ჩაირიცხა 28 მოსწავლე, აქედან, გრანტი აიღეს: ფიქრია საგინაშვილი 100%, ბარბარა ბადრიშვილი 70%, სოფო ესაიშვილი 50%, მარიამ ბუჩაშვილი 50%, ბექა როჭიკაშვილი 50%, თამარ ასთავიშვილი 50%

გვქონდა ინგლისურ ენაში 80-დან 80 ქულა, რომელიც ფიქრია საგინაშვილმა დაიმსახურა.

არც მასწავლებლები ჩამორჩნენ წარმატებულ პედაგოგთა რიგებს და გვყავს:: 2 მენტორი, 7 წამყვანი, 33 უფროსი, აქედან, წელს უფროს მასწავლებლებს შეემატნენ ნათია ადუაშვილი და სპეცპედაგოგი ლელა არაბული.

სკოლაში ბოლო ხუთი წელია საგრძნობლად გაიზარდა მოსწავლეთა რაოდენობა, სამი პირველი კლასი იხსნება და დიდია მობილობის მსურველ მოსწავლეთა რაოდენობაც.

სკოლაში სკოლის დირექციისა და მასწავლებელთა მონდომებით ინერგება თანამედროვე მოთხოვნებზე ორიენტირებული სასწავლო აქტივობები, სკოლა ცდილობს მუდმივად დანერგოს სიახლეები და მოსწავლეებს შესთავაზოს ხარისხიანი სწავლება.

სკოლის დირექცია მუდმივად ზრუნავს სკოლაში შექმნას სწავლა-აღზრდისთვის შესაფერისი ფიზიკური გარემო, სკოლამ საკუთარი სახსრებით მოახერხა ქიმიის ლაბორატორიისა და კომპიუტერული ლაბორატორიის რემონტი, რამდენიმე საკლასო ოთახის კოსმეტიკური რემონტი, წინა წლებში საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ მოხდა სველი წერტილების სრული რეაბილიტაცია, წელს ისევ ჩვენი მუნიციპალიტეტის მიერ ხდება სკოლის წინა ფასადის რეაბილიტაცია და უახლოეს მომავალში კეთილმოეწყობა სკოლის ღობე.

სკოლა ახალ სასწავლო წელს შეხვდება დისტანციურად, იმ იმედით, რომ მალე დავუბრუნდებით საკლასო სივრცეს.



# მედიცინა

# covid-19 da ჩვენ

## საქართველოში კოვიდდაავადების საწინააღმდეგოდ აქტიურად მიმდინარეობს აცრები. ყოველდღიურად 20-25 ათასი ადამიანი იკეთებს ვაქცინას. ბევრს აინტერესებს ასაცრელი ვაქცინის დახასიათება. გთავაზობთ ერთ-ერთი მათგანის

## "სინოფარმი"

**ჩინური** "სინოფარმის" ვაქცინის 100 ათასი დოზა საქართველოში 3 აპრილს შემოვიდა. მაშინ ცოტა თუ იფიქრებდა, რომ სამი კვირის შემდეგ, 27 აპრილს, მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაციის ავტორიზაციის არმქონე ვაქცინის დოზები თბილისში 2-3 საათში, რეგიონებში კი ოდნავ მეტში ამოიწურებოდა.

**სად და როდის შეიქმნა "სინოფარმის" ვაქცინა**

"**სინოფარმის**" ვაქცინა 2020 წლის დასაწყისში, ჩინეთში, პეკინის ბიოლოგიური პროდუქტების სახელმწიფო ინსტიტუტში შეიქმნა. მისი კლინიკური გამოცდა მთავრობის მფლობელობაში არსებულმა ფარმაცევტულმა კომპანია სინოფარმმა/Sinopharm დაიწყო.

Sinopharm-ის ვაქცინის გამოცდის მესამე ფაზაში 60 000-ზე მეტი ადამიანი მონაწილეობდა, კვლევები კი ჩინეთისა და სხვა უცხოურ სამეცნიერო ჟურნალებში ქვეყნდებოდა. ჩატარებული კვლევების თანახმად, კომპანიამ მალევე განაცხადა, რომ ვაქცინამ 79,34%-იანი ეფექტურობა აჩვენა. რის შემდეგაც, 2020 წლის დეკემბერში, ვაქცინამ მთავრობამ ავტორიზაცია მიიღო. 15 დეკემბრის შემდეგ, ჩინეთში, ვაქცინით მაღალი რისკჯგუფების წარმომადგენლების აცრა დაიწყო.

**"სინოფარმი" - ტრადიციული ტექნოლოგიის ვაქცინა**

ინოვაციური ("ფაიზერი", "მოდერნა") და ვექტორული ("სპუტნიკ") ვაქცინებისგან განსხვავებით, "სინოფარმის" ვაქცინა, ჰეპატიტის, გრიპის, ცოფისა და პოლიომიელიტის ვაქცინების მსგავსად, კლასიკური და ტრადიციული მეთოდითაა შექმნილი.

ეს მეთოდი ვაქცინების ინაქტივირებული ვირუსით დამზადებას გულისხმობს. ინაქტივირებული ვაქცინები, როგორც წესი, ისეთივე ძლიერ იმუნიტეტს არ უზრუნველყოფენ, როგორც ცოცხალი ვაქცინები.

"სინოფარმის" ვაქცინისთვის საჭიროა 2 დოზა, 21-28 დღის ინტერვალით. ვაქცინის შენახვის პირობები 2-დან 8 გრადუსამდეა, რაც მის ტრანსპორტირებასა და ლოჯისტიკას ბევრად მოსახერხებელს ხდის, რადგან მას არ სჭირდება მაღალი გამყინვარების მაცივრები.

**გვერდითი მოვლენები**

ჩინეთში ამბობენ, რომ გამოკვლეული 60 ათასზე მეტი ადამიანიდან ზოგს გვერდითი მოვლენებიც ჰქონდა, ცხელებისა და სხვა მოვლენების სახით.

ეგვიპტის ჯანდაცვის სამინისტრომ კი "სინოფარმის" პოტენციურ გვერდით მოვლენებს შორის დაასახელა: ნანემსრის ტკივილი და ქავილი, ტემპერატურის მატება და თავის ტკივილი, გულისრევა, დიარეა და ალერგია, სახსრებისა და კუნთების ტკივილი და ძილიანობა. უწყების ცნობით, ეს სიმპტომები, უმეტეს შემთხვევაში, თავისით გაივლის და მკურნალობა არ სჭირდება.

"სინოფარმი" დამტკიცებულია ჩინეთში, ბაჰრეინსა და არაბეთის გაერთიანებულ საამიროებში. გადაუდებელი გამოყენებისთვის კი ის 43 ქვეყანაშია დაშვებული, მათ შორის: ეგვიპტეში, არგენტინაში, მაროკოში, ირანში, ერაყში, უნგრეთში, მალდივებზე, ვენესუელასა და ზიმბაბვეში.

**რა ღირს"სინოფარმი"**

დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის დირექტორის, ამირან გამყრელიძის თქმით, "სინოფარმის ფასი დაახლოებით 18-20 დოლარია. განმარტა, რომ ვაქცინების ფასები სხვადასხვა ქვეყნისთვის სხვადასხვაა და მსოფლიო ბაზარზე "ძალიან დიდი" დეფიციტია.

თბილისში "სინოფარმით" ასაცრელად ადგილები 2 საათში სრულად შეივსო

ჩინური "სინოფარმით" ვაქცინაცია 4 მაისიდან დაიწყო

***7 მაისს, "სინოფარმის" ვაქცინამ მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის ავტორიზაცია მიიღო.***

---

## ექიმის რჩევები

## ის, რაც დაგჭირდებათ კოვიდის დადასტურებიდან პირველ ეტაპზე

***ბევრი ადამიანი ითხოვს რჩევებს, გარკვევას, კოვიდის დადასტურებიდან პირველ ეტაპზე, - ამის შესახებ რჩევებს გთავაზობთ ექიმი ანი ქავთარაძე.***

– პირველ რიგში, შეინარჩუნეთ სიმშვიდე. განწყობაზე ბევრია დამოკიდებული.

– თუ კი იღებდით ექიმის დანიშნულებით რაიმე წამალს, განაგრძეთ. არ შეწყვიტოთ.

– იმოძრავეთ, არ დაწვეთ.(ისე, რომ არ გადაიღალოთ)

– დაისვენეთ და როდესაც ისვენებთ, შეეცადეთ იწვეთ მუცელზე (მუცელზე წოლა გულ-მკერდის არეში ააქტიურებს სისხლის მიმოქცევას, რაც დაგიცავთ მოსალოდნელი, ფილტვისმიერი გართულებისგან).

– აკეთეთ სუნთქვითი ვარჯიშები - გაბერეთ ბუშტები, ივარჯიშეთ სპეც. სპირომეტრით ან წყლიან ბოთლს გაუკეთეთ ნახვრეტი და მასში აბუყბუყეთ წყალი, საწრუპელის საშუალებით (ნებისმიერი ვარიანტი მისაღებია) .

– სვით სითხე, მინიმუმ 2 ლიტრი დღეში, მასში დიდი წილი უნდა იყოს სუფთა წყალი. (პარალელურად, აკონტროლეთ შარდის ფერი- თუ კი იგი მუქი ფერისაა, სავარაუდოდ, თქვენს მიერ მიღებული სითხე საკმარისი არ არის)

– ტემპერატურის >38 ან/და თავის, სახსრების, კუნთების ტკივილის შემთხვევაში მიიღეთ პარაცეტამოლი/იბუპროფენი(იგივე, ნუროფენი, მიგ400).

– ხშირად გაანიავეთ ოთახი. თუ გაქვთ აივანი – გადით სუფთა ჰაერზე.

– თუ ვინმეს აქვს პულსოქსიმეტრი და გათხოვებთ, ძალიან კარგი იქნება, იკონტროლოთ სატურაცია (სისხლში ჟანგბადის გაჯერებულობა, არ უნდა ჩამოსცდეს 94%-ს, თუ ასე მოხდა, დააკვირდით კლების ტენდენციას, ასევე სუნთქვის სიხშირეს).

– არ მიიღოთ ანტიბიოტიკი (ვირუსს ანტიბიოტიკი არ კურნავს).

– არ მოითხოვოთ კომპიუტერული ტომოგრაფია!!!! (ესაჭიროებათ მძიმე, სუნთქვის უკმარისობიან პაციენტებს). გახსოვდეთ, 1 გულ-მკერდის KT. განპირობებული დასხივება უდრის 2 წლის ბუნებრივ დასხივების დოზას!

– რაციონში მაქსიმალურად შეამცირეთ ტკბილეული.

– არ დაარღვიოთ იზოლაციის წესები, შესაძლოა, თქვენ გახდეთ, სხვა ადამიანების ინფიცირების წყარო!

– თუ კი შეასრულებთ ყველა აქტივობას მონდომებით, ყველაფერი კარგად იქნება.

– გახსოვდეთ, კოვიდ ინფიციფებულების 80%ს ჰოსპიტალიზაცია არ ესაჭიროება!

– აიცერით, მოუწოდეთ სხვებსაც აცრისკენ, ატარეთ პირბადე და დაიცავით დისტანცია, ამის შემდეგ აღარ დაგჭირდებათ რეკომენდაციები..

---

## მადლიერება

## ბრძოლის წინა ხაზზე

## საქართველოს საამაყო შვილები



**ქვეყანა** საშინელი, თვალითუხილავი მტრის წინაშე ყოველდღიურად მარცხდება, უამრავი ატირებული, უამრავი სიკვდილთან ორთაბრძოლაში, პალატები საომარ ველად გადაქცეულა, სადაც პროფესიონალი ექიმების თავგანწირვაზე, ბრძოლის სწორად შერჩეულ სტრატეგიაზე და ტაქტიკაზეა დამოკიდებული უამრავი სიცოცხლისათვის მებრძოლი ბავშვი, თუ ზრდასრული, ორსული თუ ახლადშობილი; ბრძოლის წინა ხაზზე ისინი ეცემიან, ჩვენი სიცოცხლისთვის უშურველად იბრძვიან, ოპტიმიზმით, იმედით გვამხნევებენ რამოდენიმე ღამის გამოუძინებელნი, ოჯახებს მონატრებულები, და მაინც უკანასკნელ წუთამდე საკუთარი ჯანმრთელობის ფასად იცავენ ყოველ ამოსუნთქვას, და როგორ სჭირდებათ





ჩვენგან გამხნევება, მადლიერება რომ უფალმა ჩვენი ლოცვა შეისმინა და ისინი მხსნელებად, მფარველ ანგელოზებად გამოგვიგზავნა, მათი სახელები ჩვენს ისტორიას დარჩება როგორც მაღალი პასუხისმგებლობის, მაღალი პროფესიონალიზმის, სიცოცხლსათვის მამაცი მებრძოლები

ჩვენი რაიონის „ჯეო-ჰოსპიტალსის" კოვიდცენტრის უფროსი ექიმი: **ლეილა ოტიაშვილი,** კლინიკის დირექტორი: **დავით ჯიქია,** ***ექიმები:: ნინო ამირიძე,*** **ნინო გარსიაშვილი, ცინარი აბესაძე, ირაკლი მაკანტალაშვილი, ნინო გაგუა, მარი ოდოშაშვილი;** ***მედდები:*** **ციცო სოროზნიშვილი, ნუნუ ჯავახიშვილი, ანა კევლიშვილი, მაია ებრალიძე, მანანა როჭიკაშვილი, ლელა კუპატაძე, ჰაიალა სულეიმანოვა,** დღეს ესენი და მათი კოლეგები მთელ ქვეყანაში არიან შენი საამაყო გმირები, საქართველოვ! და თუ ისე ვერ მოვუფრთხილდებით უნდა გვაპატიო! რამდენი მადლობა დაიტევს მათ თავდადებას! გულისხმიერებას! ადამიანობას!



უფალმა და თქვენი საქმისადმი ერთგულებამ გაგაძლიეროთ ჩემო ძვირფასებო!

*მაია დიდებულიძე,*

***პედაგოგი***

---

## რჩევა

## მათთვის, ვინც გემო და ყნოსვა დაკარგა ან შეეცვალა

**პატარა** მინის ქილაში ჩადეთ ბამბა, დააასხით ლიმონის წვენი, ისე, რომ დასველდეს კარგად, ჩაყარეთ რამდენიმე მიხაკი, 5-6 ცალი, დააფარეთ თავსაფარი და დღეში რამდენჯერმე ისუნთქეთ, სუნიც და გემოც რამდენიმე დღეში დაბრუნდება,- ექიმების ჯგუფში წავიკითხე

№17(247) 2021 წელი, 1-15 სექტემბერი

## ძველი ქართული მედიცინა

# ანუ

## როგორ კურნავდა სინამდვილეში ლეგენდარული ხევსური ქირურგი მგელიკა ლიქოკელი ხალხს



*“ლიქოკელი იყო 97 წლის მოხუცი, მაგრამ ჯერ კიდევ ჯანითა და ღონით სავსე. ჭრილობის შეხვევისას იგი მუშაობდა, როგორც კარგად ნაწვართი ხელოვანი. გაკვირვებული ვუცქერდი მას. ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა გავიგე, რომ მისთვის ნაცნობი იყო ყოველი ნაკეცი ტვინისა, საითგან? ქვეყანას მოწყვეტილ კუთხეში, სადაც არც გაზეთია, არც რკინიგზა, არც ტრამვაი, ვხედავდი მოხუცს, რომელსაც ჰქონდა ცოდნა ყოველგვარი ჭრილობისა და რომელიც დახელოვნებული იყო მკურნალობაში” - ეს არის ამონარიდი გრიგოლ რობაქიძის ნოველადან “ენგადი”.*

***მგელიკა ლიქოკელზე** მსოფლიოში და საქართველოში არაერთხელ დაწერილა. ის იყო ხევსური დასტაქარი (ქირურგი), რომელსაც სამედიცინო განათლება მიღებული არ ჰქონდა და მისი მიღწევები მსოფლიომ აღიარა! მის სანახავად მთელი მსოფლიოდან ჩამოდიოდნენ ცნობილი ექიმები, რათა საკუთარი თვალით ენახათ ეს ფენომენი.*

*ერთ-ერთი უცხოელი ექიმი აღწერს თუ რა ნახა საკუთარი თვალით. მისი თქმით, როცა მივიდა ექიმ ლიქოკელთან, იმ დროს იგი ოპერაციას აკეთებდა. აივანზე სკამზე იჯდა პაციენტი, მგელიკას თავის ქალა აეხადა და რაღაცას აჭრიდა, თან ელაპარაკებოდაო.*

*ასეთი რამ დღევანდელი მედიცინისთვისაც წარმოუდგენელია.*

***თუ როგორ ახდენდა იგი სასწაულებს, მისი შთამომავალი შოთა არაბული ყვება:***

- პეტერბურგში სამედიცინო ინსტიტუტში იყო მგელიკა ლიქოკელის კაბინეტი, სადაც მგელიკას ბიუსტი იდგა, ასევე იყო ფოტოები, სადაც აღბეჭდილი იყო, თუ როგორ აკეთებდა ის ოპერაციებს... ანუ აღიარებული იყო. როგორც უდიდესი სახალხო მკურნალი... რაც ხევსურეთი არსებობს, იმ დროიდან იყვნენ ხევსური ექიმებიც! ხევსურები, ჯერ კიდევ ფხოვის დროიდან, ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეომარი ხალხი იყვნენ. კავკასიონი უნდა დაეცვათ, ჩაკეტილ მხარეში არც არავინ შემოდიოდა და არც არავინ გადიოდა. ყველაფერი თავისი ჰქონდათ – ადათობრივი სამართალი, სამეურნეო, საოჯახო საქმეები... მესაქონლეობას ეწეოდნენ, ჰქონდათ სამჭედლოები, თვითონ ირჩენდნენ თავს და ყოველმხრივ დამოუკიდებლები იყვნენ! აქ იყო რაინდული ორთაბრძოლები, რომელმაც ჩვენს დრომდეც კი მოაღწია. ჩხუბი, დაჭრა – ჩვეულებრივი ამბავი იყო. ვინაიდან ჭრილობა, ფიზიკური დაზიანება, ცხენიდან გადმოვარდნა და სხვა შემთხვევები ხშირი იყო, ეს აიძულებდათ ექიმები ჰყოლოდათ.

***- სამედიცინო განათლების გარეშე როგორ შეიძინეს ცოდნა, რომ თავის ტრეპანაცია (ძვლოვანი ღრუს გაკვეთის ოპერაცია) ჩაეტარებინათ?***

- როდესაც თავის ტრეპანაციას ახსენებენ, ხალხს წარმოუდგენია თითქოს მგელიკა ლიქოკელი თავის ქალას ხდიდა... ეს მცდარი ინფორმაციაა! დაჭრილს სხვანაირი მკურნალობა სჭირდებოდა და როდესაც ადამიანი თავს ტრამვის გარეშე იტკივებდა, მას - სხვანაირი. როდესაც ადამიანმა არ იცოდა მიზეზი, თუ რატომ სტკიოდა თავი, ხევსური ექიმები იგებდნენ, სად იყო დაზიანების კერა. ცომივით მოზელდნენ თხელ ფენას თავზე გადააკრავდნენ და სადაც დაზიანების კერა იყო, იქ ამოფუვდებოდა. იმ ადგილს მონიშნავდნენ და შემდეგ მონიშნულ ადგილს ბურღავდნენ. ასე დავიდოდნენ დაზიანების კერამდე და მკურნალობას იწყებდნენ... მგელიკა ლიქოკელი იმიტომ არის აღიარებული, რომ იგი გამორჩეულად წარმატებული იყო. თან ისეთი ხელსაწყოები ჰქონდა, პოლონელი მწერალი წერდა, მისი ინტრუმენტების მიხედვით მეწაღე უფრო მეგონა, ვიდრე ექიმიო... 1930-იან წლებში ხევსურეთში ქირურგები გამოგზავნეს და მგელიკას სამედიცინო ოსტატობით ყველა გაკვირვებული იყო. აღრიცხვაც კი ჩაატარეს, მგელიკას მხოლოდ თავის ქალაზე 440 ოპერაცია ჰქონდა გაკეთებული და აქედან 98% - წარმატებულად. ხალხი მისი გაკეთებული ოპერაციის შემდეგ კიდევ დიდხანს ცოცხლობდა. იგი თავის ჩამტვრეულ, დაჭრილ ადგილსაც ბურღავდა დაახლოებით ხუთი სანტიმეტრის დიამეტრით, ძვალს მოფხიკავდა, რაღაც დონემდე დავიდოდა და შემდეგ მკურნალობას იწყებდა...

***- მგელიკა ლიქოკელს არაადამიანური ტკივილების გასაყუჩებლად რა საშუალება ჰქონდა?***

- თქვენ წარმოიდგინეთ არაფერი! ეს ექიმები და მგელიკაც საოცარ ენერგიას ფლობდნენ, დასვამდნენ ავადმყოფს და ეუბნებოდნენ, შენ ხარ ქვა, შენ ხარ რკინა, არაფერი არ გტკივა... მაქსიმუმ არაყს თუ დაალევინებდნენ გასაბრუებლად. ისე აჰიპნოზებდნენ ავადმყოფს, ტკივილს ვეღარ გრძნობდა. თან სირცხვილად ითვლებოდა ვაჟკაცს დაეკვნესა, ან შიში შეემჩნია... ექიმი გიორგი თევდორაძე მკურნალობის ამ მეთოდზე შესანიშნავად წერს. მხოლოდ მგელიკა ლიქოკელი კი არა, ძალიან ბევრი ექიმი გვყავდა ხევსურეთში. თითქმის ყველა თემს თავის ექიმი ჰყავდა.

ცნობილი, უდიდესი ეზოთერიკოსი გიორგი გურჯიევი მგელიკა ლიქოკელის შესახებ თავის მოგონებებში წერს. გურჯიევი დაიჭრა და სამკურნალოდ მგელიკასთან ჩამოიყვანეს... უნდა აღინიშნოს, რომ დიდი საიდუმლოებით არის მოცული, ვინ და რატომ დაჭრა იგი. ამ დროს თბილისში პროფესიონალი ქირურგები იყვნენ და ის მაინცდამაინც მგელიკასთან რატომ ჩამოვიდა? როგორც მოგახსენეთ, მგელიკა დიდ ენერგას ფლობდა და გიორგი გურჯიევმა ამას მიაგნო. ჩემი აზრით, მას მგელიკას ცოდნის წაღება სურდა.

***- როგორც ვიცით, მგელიკამ თავის თავს ვერ უმკურნალა...***

- მგელიკა ბებიაჩემის მამა იყო და ბებია იხსენებდა, რომ მან თავის დროზე ოპერაცია არ გაიკეთა... თავად ამზადებდა წამლებს და ეგონა, რომ იმ წამლებით განიკურნებოდა. უკვე ას წელს მიღწეული იყო და რომ მიხვდა თავისით ოპერაციას ვეღარ გაიკეთებდა და წამლებიც ვეღარ უშველიდა, 1935 წელს თავი მოიკლა.

***- მისი დიდი ცოდნა შთამომავლებს გადმოეცა?***

- არა... მისი ვაჟი დახვრიტეს და ორი გოგო დარჩა. გოგოებს ცოდნა არ გადმოსცემიათ. იმ დროს საბჭოთა ხელისუფლებამ ყველანაირი ხალხური მედიცინა აკრძალა. ხევსურეთში გვიანობამდე ორი ექიმი შემორჩა, რომლებიც ტრეპანაციას მალულად აკეთებდნენ... რაღაც რეცეპტები დღესაც არის შემორჩენილი. მაგალითად, მორიელს მოკლავდნენ, გაახმობდნენ, დაფშვნიდნენ და თუ გველი ვინმეს დაგესლავდა, ეს უებარი წამალი იყო... ხევსურეთში ადრე გავრცელებული იყო სამკურნალო წითელი და თეთრი გველი. განსაკუთრებული იყო წითელი გველი, რომელიც იმდენად სხვანაირი იყო, ჯოხს თუ დაარტყამდი შუშასავით იმსხვრეოდაო. ამ გველებს კლავდნენ და ამზადებდნენ სამკურნალო საშუალებებს, რომლითაც ჭრილობებს მკურნალობდნენ. არსებობდა სამკურნალო საპნები, ბუნებრივი ქვები, რომელსაც გადამფრენი ფრინველის კუჭიდან იღებდნენ.

## ამომრჩევლის თვალით დანახული დეპუტატი

# ხალხის რჩეული



***ეს** ჩვენი თემის მაჟორიტარი დეპუტატი **ივანე** (ჩვენთვის ვანო) **ბეჟიაშვილია**. მისთვის სამუშაო საათები დეპუტატად არჩევის (2012წ) მეორე დღიდან დაიწყო და თითქმის 24 საათიანი რეჟიმით დღემდის გრძელდება ყოველგვარი შესვენების გარეშე. წარმოუდგენელი და შესაშური ენერგიის მქონე ადამიანი. ძალიან უყვარს თავისი სოფელი და თანასოფლელები. სულ იმის ცდაშია, რაც შეიძლება მეტი კარგი გააკეთოს სოფლისთვის და მეტწილად გამოსდის კიდეც. რა თქმა უნდა, რაიონის გამგეობის სრული დახმარებით და მხარდაჭერით სოფელში ბევრი პრობლემა მოგვარდა. სოფელში შეკეთდა სამამულო ომის ვეტერანთა მემორიალი, სოფლის ცენტრში მოეწყო მინი სტადიონი, ასევე ღია სივრცეში სპორტდარბაზის ტერიტორიაზე დამონტაჟდა ტრენაჟორები ,რითაც შეუძლიათ ისარგებლონ ყველა მსურველმა ნებისმიერ დროს. შეკეთდა სოფლის საბავშვო ბაგაბაღის შიდა და გარე კომუნიკაციები, მოასფალტდა 2 კილომეტრიანი გზის მონაკვეთი (მეკოკიაანთ უბანი), რომელიც ყოველთვის პრობლემურ გზად იყო მიჩნეული, რეგულარულად ხდება სოფლის ცენტრალური გზის შეკეთება, დამონტაჟდა გარე განათება სოფლის პირველ და მეორეხარისხოვან გზებზე, ასევე, ვანოს დიდი მონდომებით სოფლის სასაფლაომდე მოეწყო ბეტონის საფარიანი გზა. თითქმის მოგვარდა სოფლის სასმელი წყლით მომარაგების პრობლემა. მოეწყო რამოდენიმე ჭაბურღილი და რეზერვუარები. ყველაზე მთავარი ისაა, რომ დაწყებულია და სულ მალე დამთავრდება „ნასადგომრის წყლის“ სოფლამდის მოყვანა, რაც სრულიად დააკმაყოფილებს სოფელს სასმელი წყლით. საკმაოდ ბევრი რამ გაკეთდა ბოლო წლებში გიორგიწმინდის თემში შემავალ სოფლებშიც - ანთოკში, მარიამჯვარსა და ქვემო სამგორის დასახლებაში, სადაც შეიცვალა სასმელი წყლის მილები, კაპიტალურად მოწესრიგდა რეზერვუარები. მოიხრეშა გზები. ანთოკსა და მარიამჯვარში მოეწყო ცენტრალური გზის გარე განათება. დაინიშნა სამარშუტო ავტობუსი. მოეწყო მოსაცდელი, ანთოკში მოეწყო სკვერი, ანთოკის და მარიამჯვრის გასაყარზე მოეწყო დასასვენებელი პარკი. ადამიანი ყოველთვის თავისი გაკეთებული საქმით ფასდება. სოფელი არ შემცდარა დეპუტატის არჩევაში, რომლის უშუალო ჩარევით და მონდომების გარეშე არცერთი სოფლის პროექტი არ განხორციელებულა. წარმატებებს გისურვებთ ვანო.*

გია ბილანიშვილი

**2013 წლიდან დღემდე განხორციელებული პროექტები გიორგიწმინდის თემის სოფლებში**

***2013 წელი***

1. სოფლის ცენტრალური გზის ორმული დამუშავება, ასფალტის საფარის მოწყობა სოფლის შემოსასვლელში;
2. სოფლის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების მეორე სართულზე სრულად ამოიცვალა კარ-ფანჯარა და არსებული ჩანაცვლდა ახალი მეტალო-კონსტრუქციით;
3. ე.წ „ჯამალაანთ“ ჭაბურღილზე ორჯერ შეიცვალა წყლის ტუმბო;
4. სასმელი წყლის საკომუნიკაციო მილების ამოცვლა განხორციელდა (ანთოკ-მარიამჯვარი);
5. მოხდა რეზერვუარებისა და სათავე-ნაგებობების გასუფთავება და კაპიტალური რემონტი (ანთოკ-მარიამჯვარი);
6. საუბნო მილების გაყვანა (ანთოკ-მარიამჯვარი);
7. გზების მოხრეშავ-მოსწორება (ანთოკ-მარიამჯვარი);

***2014 წელი***

1. სოფელში, გმირთა მემორიალის რეაბილიტაცია („სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით)
2. მოეწყო სასმელი წყლის რეზერვუარები ალინჯის ჭაბურღილზე და ამოიცვალა წყლის ტუმბო;

***2015 წელი***

1. სოფლის ცენტრში მოეწყო მინი-სტადიონი;
2. სკოლმდელი აღზრდის დაწესებულებაში ჩატარდა საკანალიზაციო კომუნიკაციის სამუშაოები, მოეწყო სათადარიგო-სახანძრო კიბე;
3. გზების მოსწორება-მოხრეშვა (ანთოკ-მარიამჯვარი);
4. წყლის სათავე-ნაგებობების მოწესრიგება (ანთოკ-მარიამჯვარი) ;

2016 წელი

1. ე.წ. „მეკოკიაანთ“ უბნის გზის მოასფალტება;
2. ე.წ „მირზაანთ“ უბანში წყლის ჭაბურღილის ტუმბოს შეცვლა;

***2017 წელი***

1. სოფელში რამდენიმე უბანზე განხორციელდა სასმელი წყლის საკომუნიკაციო მილების ამოცვლითი სამუშაოები და გასუფთავდა რეზერვუარები;
2. სოფელში მოსწორდა და მოიხრეშა შიდა საუბნო გზები;
3. გარე-განათების მოწყობა ( ანთოკ-მარიამჯვარი);

***2018 წელი***

1. სოფლის საბჭოს ეზოში მოეწყო წყლის ჭაბურღილი;
2. ე.წ „მტაცებლის“ უბანში წყლის ჭაბურღილის მოწყობა;
3. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების სამზარეულოში ჩატარდა სარემონტო სამუშაოები, შეტანილი იქნა საჭირო ინვენტარი;
4. მოეწყო გარე-განათება ცენტრალურ გზებზე;
5. ანთოკში სკვერის მოწყობა-შემოღობვა;
6. ანთოკში მოსაცდელის მოწყობა;
7. სათავე-ნაგებობისა და საკომუნიკაციო მილების შეცვლა; ანთოკ-მარიამჯვარში
8. გზების მოხრეშვა-გასწორება ანთოკ-მარიამჯვარში;

***2019 წელი***

1. ე. წ. „ნავრობის“ ხევისა და წყლის სათავე-ნაგებობის შემოღობვა;
2. გარე-განათების მოწყობა შიდა საუბნო გზებზე;
3. საბჭოს ეზოდან მოხდა უბნებში სასმელი წყლის ქსელების მოწყობა;
4. სოფლის ცენტრში ასფალტის საფარის მოწყობა;
5. საჯარო სკოლაში სველი წერტილების მშენებლობა-მოწყობა;
6. სოფლის ამბულატორიის რემონტი-კეთილმოწყობა, შემოღობვა;
7. ე.წ „მტაცებლიაანთ“ უბანში წყლის ჭაბურღილიდან ქსელის მოწყობა და რეზერვუარის მონტაჟი;
8. საჯარო სკოლის ეზოს ჭაბურღილზე ორჯერ ამოიცვალა ტუმბო და მოეწყო ახალი ქსელი;
9. ე. წ „ბარილას“ უბანში გზის მოხრეშვა-მოსწორება;
10. დარჩენილ უბნებზე გარე-განათების მოწყობა;
11. სათავე-ნაგებობისა და საკომუნიკაციო მილების შეცვლა (ანთოკ-მარიამჯვარში)
12. გზების მოხრეშვა-გასწორება (ანთოკ-მარიამჯვარი);
13. მოსაცდელის მოწყობა - ქვ. სამგორი
14. წყლის ჭაბურღილიდან წყლის საკომუნიკაციო ქსელის გაყვანა მოსახლეობაში- ქვ. სამგორი;

**2020 წელი**

1. სოფლის ზემო უბანზე, სასაფლაოს გზის ბეტონის საფარით მოწყობა;
2. ახალგაზრდებისთვის სპორტული და სავარჯიშო სივრცის მოწყობა;
3. მიმდინარეობს „ნასადგომარის“ წყლის პროიექტი, რომელიც მთელ სოფელს სასმელი წყლით უზრუნველყოფს;

## 31 ივლისს რეინჯერთა მსოფლიო დღე აღინიშნა

# გარეჯელი რეინჯერები ქვეყნის მოწინავეთა შორის

*რეინჯერთა მსოფლიო დღე პირველად 2007 წელს აღინიშნა, რომელიც ყოველწლიურად ტარდება მთელს მსოფლიოში ჩვენი პლანეტის ფლორისა და ფაუნის დღემდე შემორჩენილი იშვიათი სახეობების დამცველთა ღვაწლის პატივსაცემად. საქართველო ამ საქმეში 2017 წლიდან ჩაერთო და მას შემდეგ ყოველწლიურად აღინიშნება ეს დღე. საქართველოს დაცული ტერიტორიები, სადაც დაცულია ქართული ფლორისა და ფაუნის იშვიათი სახეობები, ჩვენი ქვეყნის 21 ტერიტორიულ ერთეულშია დაცული და მათი საერთო ფართობი 800 ათასამდე ჰექტარ ტერიტორიას მოიცავს. მათ დაცვას ქვეყნის 400 რეინჯერი ემსახურება. ამ ტერიტორიებიდან მარტო ჩვენს მუნიციპალიტეტში, სამი ასეთი დაცული ტერიტორიაა, რომლებიც მარიამჯვარის სახელმწიფო ნაკრძალის ადმინისტრაციას ექვემდებარებიან. ესენია მარიამჯვარის, ყორუღისა და იორის სახელმწიფო აღკვეთილი ტერიტორიები, სადაც დაცულ ივრისპირეთის ცხოველთა და მცენარეული საფარის უნიკალურ და იშვიათ სახეობებს მეთვალყურეობას უწევენ და ბრაკონიერებისა და სხვა სახის დამნაშავეთა ხელყოფისაგან იცავს რვა რეინჯერი. ყველა, ვინც კი ოდნავ მაინც არის ჩახედული მათ საქმიანობაში, დაგვეთანხმება, რომ ბუნებისა თუ ადამიანური ფაქტორიდან გამომდინარე, ეს საქმე მუდამ სარისკოა და არც თუ იშვიათად, რეინჯერებს თავიანთი მოვალეობის შესრულება ჯანმრთელობისა თუ სიცოცხლის ფასადაც უწევთ. სამწუხაროდ, ამის მაგალითებიც არის და გვსმენია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით. ეს ზოგადად ეხება ყველა რეინჯერს და რა თქმა უნდა, მარიამჯვარის სახელმწიფო ნაკრძალის ადმინისტრაციაში მომსახურე ადამიანებსაც, რომელთა დამსახურება ამ საქმეში არაერთხელ აღნიშნულა ზემდგომი ორგანოების მხრიდან. რამდენიმე რეინჯერი, კერძოდ მამუკა ნაცვლიშვილი და ბესიკ დიღმელაშვილი კი წინა წლებში დაჯილდოვდნენ „წლის საუკეთესო რეინჯერის“ სერტიფიკატითა და ფასიანი საჩუქრებით. წლევანდელი რეინჯერთა მსოფლიო დღე თბილისის ეროვნულ პარკში აღინიშნა. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა ლევან დავითაშვილმა, საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩ კელი დეგნანთან ერთად ზეიმზე შეკრებილ რეინჯერებს პროფესიული დღე მიულოცა და სიმბოლური საჩუქრები გადასცა. ღონისძიებას საქართველოს მთავრობის, დიპლომატიური კორპუსის და საერთაშორისაო სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.*

*– „მოხარული ვარ, რომ თქვენთან ერთად აღვნიშნავ ამ მნიშვნელოვან თარიღს – რეინჯერთა მსოფლიო დღეს, – თქვა ღონისძიებაზე სიტყვით გამოსულმა ლევან დავითაშვილმა, – კარგია, რომ ჩვენც ვართ ამ საერთაშორისო დღის აღნიშვნის მონაწილენი და ეს ტრადიცია მუდმივად გრძელდება. ჩვენ გვყავს გმირი რეინჯერები, რომლებმაც სამსახურებრივ მოვალეობას შესწირეს თავი. სამწუხაროდ, რისკები რეინჯერთა საქმიანობას მუდამ თან ახლავს, მ.შ. ბუნებიდან გამომდინარე, ტყის ხანძრები. რეინჯერები ყველა ამ გამოწვევას გმირულად უმკლავდებიან, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდი. წელს, მსოფლიოში ამ დღის აღნიშვნა , რეინჯერთა კეთილდღეობის ამაღლებაა. 2013 წლიდან, რეინჯერებს ეკონომიკური, მატერიალური, სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება ჩვენი ზრუნვის საგანია, რაშიც აუცილებლად უნდა აღინიშნოს დონორი ორგანიზაციების დახმარება, რომლებიც დაცული ტერიტორიების არა მარტო განვითარებაზე, არამედ რეინჯერების მატერიალური, სოციალური თუ ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე ზრუნავენ. რეინჯერებს მინდა გისურვოთ უსაფრთხო სამუშაო, ჯანმრთელობა იმისათვის, რომ ჩვენი ქვეყნის სიმდიდრის გამორჩეული ნაწილ;ი დაიცვათ, რაც თქვენი პასუხისმგებლობის ქვეშაა“.*

*გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაცული ტერიტორიების სააგენტო რეინჯერთა პროფესიულ დღეს 2017 წლიდან მართლაც მნიშვნელოვანი ღონისძიებით აღნიშნავს: სააგენტომ დაცული ტერიტორიების დაცვასა და განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის 100-ზე მეტი რეინჯერი დააჯილდოვა მადლობის სიგელითა და ფულადი პრემიით. კომპენსაციები გადაეცათ სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპულ რეინჯერების ოჯახებს.*



*საქართველოში აშშ-ს ელჩის კელი დეგნანის განცხადებით, რეინჯერები ძალიან ბევრს აკეთებენ გარემოს დაცვისათვის, შეაქვთ წვლილი ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში. „დღევანდელი დღე იყო არაჩვეულებრივი შესაძლებლობა დაგვეფასებინა და აღგვენიშნა რეინჯერების წვლილი, მათი ძალიან დიდი სამუშაო ბუნების დაცვის მიმართულებით, – განაცხადა კელი დეგნანმა.*

*საქართველოს მთავრობა შემუშავებული ერთიანი პოლიტიკის შესაბამისად და დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით, მუდმივად ზრუნავს რეინჯერებზე – ყოველწლიურად უმჯობესდება მათი სამუშაო პირობები, ეტაპობრივად იზრდება სახელფასო ანაზღაურება, რეინჯერები უზრუნველყოფილი არიან საკვები დანამატით, შესაბამისი სადაზღვევო პაკეტებითა და სამუშაო ეკიპირებით. სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპული რეინჯერების ოჯახებს დანიშნული აქვთ დახმარება.*

*ღონისძიების დასასრულს, ლევან დავითაშვილმა და აშშ ელჩმა კელი დეგნანმა საპატიო სიგელებითა და ფულადი პრემიებით დააჯილდოვეს საქართველოს დაცული ტერიტორიების სააგენტოს 2021 წლის გამორჩეული რეინჯერები, მათ შორის ჩვენი მუნიციპალიტეტიდან მარიამჯვარის სახელმწიფო ნაკრძალის ადმინისტრაციის ორი რეინჯერი:* **ზაქარია ტიგინაშვილი და ეითიბარ ალიევი.** *ისე, რომ ამიერიდან, მუნიციპალიტეტში უკვე ოთხი გამორჩეული, ქვეყნის საუკეთესო რეინჯერი გვყავს. აქვე გაგაცნობთ საქართველოს 2021 წლის საუკეთესო საგარეჯოელ რეინჯერებს.*

**ზაქარია ტიგინაშვილი** ამ ქვეყანას საგარეჯოში 1975 წელს მოევლინა – გაღმაუბანში. ახლა მის მისამართს არ იკითხავთ? კახეთის ქუჩის პირველი შესახვევის პირველი სახლის მობინადრე, აქ აღზრდილი და დავაჟკაცებულია.. სკოლასაც სად დაამთავრებდა, თუ არა საგარეჯოს მესამე საჯარო სკოლას სადაც 11 წელი ეუფლებოდა ზოგადსაგანმანათლებლო დისციპლინებს, შემდეგ კი საგარეჯოს პოლიტექნიკურ კოლეჯში გააგრძელა სწავლა სოფლის მეურნეობის მექანიზაციის განხრით. კოლეჯის დამთავრების შემდეგ სწავლა კოლეჯში „აისი“ გააგრძელა და მიიღო მეტყევის სპეციალობა.

– როგორც მეტყევე სპეციალისტს, ყოველთვის მქონდა სურვილი, რომ რეინჯერი გავმხდარიყავი, – ***გვეუბნება ზაქარია,*** – ამიტომ, როგორც კი მარიამჯვარის სახელმწიფო ნაკრძალის ადმინისტრაციაში ვაკანსია გამოცხადდა, მივედი გასაუბრებაზე, რის შემდეგაც დავინიშნე რეინჯერად. ეს იყო 2019 წელს, რითაც დიდად მოხარული ვარ და ვამაყობ, რომ შევძელი ჩემი ოცნების აღსრულება. ბავშვობიდანვე მიყვარდა ბუნება, ცხოველები, ფრინველები და მიხარია, რომ ჩემი სამსახურით შემიძლია მათი დაცვა და ჩემი მცირეოდენი წვლილიც შემაქვს მომავალი თაობებისათვის მათი ახლანდელი სახით შენახვა-შენარჩუნების საქმეში.

***– თუ არ ვცდები რეინჯერად მუშაობის დაწყებამდე საგარეჯოს სახანძრო-სამაშველო სამსახურშიც მუშაობდი, სადაც ჩვენს ფლორასა და ფაუნას არა, მაგრამ არანაკლებ საპასუხისმგებლო – ადამიანთა ქონების, ჯანმრთელობის თუ სიცოცხლის დაცვის საქმეს ემსახურებოდი.***

– აღნიშნულ სამსახურში რამდენიმე წელიწადს ვიმსახურე მეხანძრე-მაშველად. ვინც კი ოდნავ მაინც იცის, თუ რაოდენ სარისკო და საპასუხისმგებლოა ამ პოსტზე მყოფის საქმიანობა, დამეთანხმება, რომ ეს საქმე სულაც არაა ადვილი და შეიძლება სხვის დახმარებაზე გასული მეხანძრე-მაშველის საქმიდან გამომდინარე, თვითონ დასჭირდეს შველა და დახმარება; ერთი სიტყვით, ეს მეტად სარისკო და ამავდროულად ვაჟკაცური საქმე და სამსახურია, მაგრამ ჩემი მოწოდებიდან გამომდინარე, რეინჯერობა ვარჩიე და მგონი არც შევმცდარვარ ჩემს არჩევანში.

***– მარიამჯვარის სახელმწიფო ნაკრძალის ადმინისტრაციაში სამი დაცული ტერიტორიაა, შენ რომელ აღკვეთილში გიწევს მუშაობა?***

– 2019 წლიდან რეინჯერად დანიშვნის დღიდან ვმუშაობ და ვიცავ ყორუღის სახელმწიფო აღკვეთილში დაცული ჩვენი ფლორისა და ფაუნის დამახასიათებელ ეგზემპლარებს, მ.შ. უკვე იშვიათებად ქცეულ უნიკალურ სახეობებს.

***– ყორუღში მუშაობის ორწლიან ვადაში ბრაკონიერობისა და სხვა დარღვევების ფაქტების გექნება გამოვლენილი...***

– ბრაკონიერობის შემთხვევებს ჩემს პრაქტიკაში ადგილი არ ჰქონია, მაგრამ გამოვლენილი მაქვს ყორუღის ტერიტორიაზე პირუტყვის უკანონო ძოვებისა და რეჟიმის დარღვევის რამდენიმე ფაქტი.

***– როგორი მეოჯახეა საგარეჯოელი რეინჯერი და არის შენი ჰობი?***

– მყავს მეუღლე და ორი შვილი. ჩემი ჰობი კი რეინჯერობიდან გამომდინარე – არის გარემომცველი ბუნების დაცვა და მოვლა-პატრონობა.

***– შენ წილად გხვდა პატივი მარიამჯვარის სახელმწიფო ნაკრძალის ადმინისტრაციის მესვეურებიდან წლის საუკეთესო რეინჯერად დასახელებაზე და ზემდგომ – საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაცული ტერიტორიების სააგენტოში წარდგენა. შენთვის, როგორც რეინჯერისათვის რას ნიშნავს ეს?***

– ჩემთვის, როგორც რეინჯერისათვის, რეინჯერთა საერთაშორისო დღისათვის ამ ჯილდოზე წარდგენა და თბილისის ეროვნულ პარკში წლის საუკეთესო რეინჯერის საპატიო ჯილდოს, ასევე ფასიანი ვაუჩერის გადმოცემა საქართველოში აშშ ელჩის კენი დეგნანის მიერ ძალზე საამაყო და დასაფასებელია, რომელიც ამავდროულად უფრო მეტს მავალებს ჩვენი გარემომცველი ბუნების დაცვის საქმეში და მეც ვეცდები „ვალში“ არ დავრჩე ამ დაფასებისა და აღიარებისათვის. ხოლო თუ როგორ შევძლებ ამას, ამას ჩემი მომავალი საქმიანობა დაგვანახებს.

**ეითიბარ ალიევი:**

**–** დავიბადე 1972 წლის 25 იანვარს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ყველაზე განაპირა – სოფელ კაზლარში, სადაც დღემდე ვცხოვრობ. ვინაიდან სოფელში საშუალო სკოლა არ იყო, სასწავლებლად დავდიოდი და დავამთავრე ლამბალოს საშუალო სკოლა. ყველამ იცის, რა მანძილითაა დაშორებული ლამბალოდან კაზლარი, ამიტომ ყოველდღიურად წინ და უკან თითქმის ათეულ კილომეტრზე მეტის გავლა მიწევდა. სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა არსად არ გამიგრძელებია, რადგან ჩემი ცხოვრებისა და საქმიანობის ბედი ადრიდანვე მქონდა ამორჩეული. ეს გახლდათ ტყისმცველის სპეციალობა. ყორუღის აღკვეთილში. ჩემი ეს გადაწყვეტილება განაპირობა იმან, რომ მამაჩემი ათეულობით წლების განმავლობაში მუშაობდა ყორუღში მცველად და ბავშვობიდანვე მას მუდამ დავდევდი ყორუღში, განსაკუთრებით ზაფხულის არდადეგების დროს, – ***გვიყვება თავის თავზე ყორუღის სახელმწიფო აღკვეთილის ახლა უკვე 2021 წლის საუკეთესო ჩვენი ეთნიკური აზერბაიჯანელი თანამოქალაქე და რეინჯერი* ეითიბარ ალიევი.**

რაც შეეხება ყორუღში ჩემს ოფიციალურად მუშაობის დაწყებას, ეს მოხდა1995 წელს, როცა მისი დირექტორი გივი ჯაფოშვილი იყო. არ მინდა ქებაში ჩამომერთვას, მაგრამ ჩემი მუშაობის თითქმის 30 წლის მანძილზე გამოვლენილი მაქვს უკანონო ნადირობისა და თევზაობის მრავალი ფაქტი, რაზედაც გატარდა შესაბამისი ღონისძიებები. მოგიყვებით ერთ-ერთს. ამ რამოდენიმე წლის წინ, დილის 6 საათზე ადმინისტრაციის დაცვის უფროს მურმან ებრალიძესთან ვიყავით პატრულირებაზე და იორზე გამოვავლინეთ ელექტროშოკის აპარატით თევზაობის ფაქტი. უკანონო და აკრძალული ხერხით მოთევზავეს ადგილზევე გავუფორმეთ შესაბამისი ოქმი, რის საფუძველზეც აღიძრა სისხლის სამართლის საქმე და ბრაკონიერი სათანადოდ დაისაჯა. ასეთი ფაქტები მრავალია და მოვიყვან მხოლოდ მიმდინარე წელს გამოვლენილ ფაქტებს, ესაა ნაკრძალის ტერიტორიაზე პირუტყვის უკანონო ძოვების ფაქტები, აღკვეთილი მაქვს ნაკრძალის ტერიტორიაზე ნადირობის არაერთი შემთხვევა, როცა აპირებდნენ დაცულიი ტერიტორიების ფართობზე უკანონოდ შესვლას ცეცხლსასროლი იარაღით.

***– სამუშაო ალბათ უფრო მოგემატებოდა წლევანდელი ნადირობის სეზონის გახსნის დღიდან, არა?***

– ნადირობის სეზონის გახსნა რეინჯერებისათვის მეტ საზრუნავს აჩენს ხოლმე. ასეა ახლაც. თითქმის გათენებიდან დაღამებამდე და ზოგჯერ მთელი დღე-ღამე გვიწევს პატრულირება, რაშიც ჩართული არიან ჩვენი ადმინისტრაციის ხელმძღვანელები, დადგმული ფოტოხაფანგები, რომლებიც დარღვევების დაფიქსირებისთანავე აგზავნიან ფოტო და ვიდეო სურათებს და ასეთ საქმიანობაში გადის დღიდან დღე და წლიადან-წლები.

***– ქართულ სახელმწიფო ენას რამდენად ფლობ, რაიმე ბარიერი ხომ არ გაქვს მუშაობაში მის გამო?***

– ენობრივი ბარიერი კოლეგებთან ან მოსახლეობასთან არ მქონია და არც გამაჩნია, რადგან აზერბაიჯანულთან ერთად კარგად ვფლობ ქართულ ენასაც.

***– ჩვენი მუნიციპალიტეტის აზერბაიჯანული მოსახლეობა მრავალშვილიანობით გამოირჩეოდა ხოლმე. შენთან როგორაა ამ მხრივ საქმე?***

– ვარ ცოლშვილიანი და მყავს სამი შვილი, მათგან ერთი სტუდენტია, დანარჩენები ოჯახურ საქმიანობაში არიან ჩართული.

***– რეინჯერობითა და ასეთი ოჯახით დაკავებულს თუ გრჩება თავისუფალი. დრო?***

– ასეთი დრო თითქმის არასოდეს მქონია, რადგან რეინჯერობის შემდეგ სახლში მისული ვაკეთებ საოჯახო საქმეებს.

***– რა ჯილდოები გადმოგეცა თბილისის ეროვნულ პარკში რეინჯერთა საერთაშორისო დღეზე და აქამდე თუ გქონია რაიმე ჯილდოები ასეთი სტაჟის მქონე რეინჯერს?***

– რეინჯერთა საერთაშორისო დღეზე დამაჯილდოვეს მადლობის სიგელით და „მეტრომარტის“ 300 ლარიანი ვაუჩერით. რაც შეეხება სხვა ჯილდოებს, ჯილდოები კი არა, ყოფილა დრო ტყისმცველად უხელფასოდ გვიმუშავია და შეგვისრულებია ჩვენზე დაკისრებული მოვალეობა.

***– ეს ალბათ ჩვენი ქვეყნის ავბედით, 90-იანი წლების პერიოდს შეეხება, არა?***

– კი, ასეა. ყოფილა შემთხვევა, რომ წლების განმავლობაში 8 და 10 ლარად გვიმუშავია და ერთ წელიწადს რამდენიმე თვის ხელფასები გაგვიყინეს. ისე, რომ თუ არა ამ საქმის სიყვარული, რასაც ბავშვობის პერიოდიდანვე ვეზიარე, როცა მამაჩემს – ყორუღის ტყისმცველს აქ დავდევდი ზაფხულობით, სხვა ბევრი ერთ დღესაც არ გაჩერდებოდა ამ ადგილზე იმდროინდელი ხელფასის პირობებში. რა ვქნა, მიყვარს ჩემი საქმე და მას არაფრის ფასად არ დავანებებ თავს.

გივი დაბახიშვილი

სურათზე: ***ეითიბარ ალიევი და ზაქარია ტიგინაშვილი ყორუღის ნაკრძალში.***

# ახალგაზრდა ხელოვანები

## ძველი ტრადიციისა და ახალი სილამაზის შერწყმით



**ბავშვობაში** თექის საგნებითან, ლეიბ-საბან-ბალიშის და საერთოდ, მატყლთან მოფუსფუსედ ყოველთვის ასაკიანი, თავსაფარგაკრული, ხანდაზმული მანდილოსანი წარმომედგინა,რომლის ნაჯაფარი თითების ჯადოსნური ლოცვა და სითბო მოჰყვებოდა ლოგინს. მაგრამ, დრონი იცვალნენ, ახლა ხშირად ვხედავთ დათვალიერებასა და გამოფენებზე ახალგაზრდებს, რომლებსაც ბებიების ხელობა გაუხსენებიათ, შეუსწავლიათ და სულის შებერვით ელოლიავებიან – ისინი არც ტრადიციულ, ქართულ ხელსაქმეს ივიწყებენ და ათეულობით, ასეულობით, ბოლო ჯამში კი ათასეულობით ადამიანს სიამოვნებას ანიჭებენ. მათ შორის საგარეჯოელები, დები, – ***ქეთი და გვანცა ლაფერიშვილები*** არიან.

ქეთიმ 2011 წელს საგარეჯოს IV საჯარო სკოლა დაამთავრა, სწავლა კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე განაგრძო.

***გვანცამ*** კი 2013 წელს დაამთავრა იგივე სკოლა და სწავლა ილიას სახელობის უნივერსიტეტის ბიზნეს ფაკულტეტზე განაგრძო.

ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ ქეთის და გვანცას პაპა ტარიელ ლაფერიშვილი საგარეჯოს მატყლის გადამამუშავებელი ფაბრიკის ერთ-ერთი საამქროს (მატყლის დასაჩეჩი) უფროსი იყო. როცა სტალინმა ნიშანდობლივად საგარეჯოს აღნიშნული საამქროსათვის დაზგა-დანადგარები გამოგზავნა, ტარიელმა თავისი ზედამხედველობითა და საკუთარი ხელებით დაამონტაჟა. ალბათ 50 წელზე მეტი ემსახურა ეს დანადგარები საგარეჯოელებს. შემდეგ, 90-იან წლებში, როცა ფაბრიკა დაიხურა, ტარიელი იძულებული გახდა დაექირავებინა მუშები და განეგრძო საქმე, რომლის დახურვაც , მოსახლეობიდან მოთხოვნის გამო ვერ მოხერხდებოდა. ახლაც იხსენებს



გოგონების ბებია ქეთევანი, რომ იყო გაჭირვება, უპურობა, უდენობა, მაგრამ მატყლსა და ლოგინის შეკერვაზე მოთხოვნა არასდროს შეწყვეტილაო. განადგურება-გაძარცვის გადასარჩენად როცა ტარიელმა დანადგარები სახლში გადმოიტანა, მისმა მეუღლემ, გოგონების ბებიამ, დიდმა ქეთევანმა კარგად შეისწავლა დანადგარებზე მუშაობა და უკვე ის უძღვებოდა საქმეს. თბილისში დაბადებულ-გაზრდილი მშვენივრად შეეწყო მატყლით სხვადასხვა საყოფაცხოვრებო ნივთების დამზადებას.

2003 წელს პაპა ტარიელი გარდაიცვალა. გოგონების თვალწინ ხდებოდა მატყლზე მუშაობა, ბებოს ეხმარებოდნენ. ქეთიმ გაიგო, რომ პატარძეულში 5 ლარის საფასურად ასწავლიდნენ თექაზე მუშაობას, მაგრამ მაშინ ტრანსპორტირება ჭირდა და ამიტომ ამ კურსებზე სიარული პატარძეულელ მამიდაშვილს სთხოვეს, რომელმაც მხოლოდ თექის მომხადება და ფაჩუჩების შეკერვა ისწავლა. მაგრამ, ქეთისთვის ესეც საკმარისი იყო, შემდეგ თავის ფანტაზიას მოუხმო და სკოლის მოსწავლემ ჰობად აქცია ხელსაქმე.

დიახ, ქეთიმ 12 წლიდან დედასთან ერთად დაიწყო თექაზე მუშაობა. დედა პროფესიით ბებია-ექთანია, მაგრამ პროფესიით



არასოდეს უმუშავია, თექაზე მუშაობა კი უფრო ლამაზად გამოსდიოდა მის ნატიფ თითებს. ქეთი იხსენებს,– 12 წლიდან თექაზე მუშაობა მეც დავიწყე და ჩემმა პატარა დაიკომაც. სიმართლე გითხრათ, სკოლაში ვმალავდი ხელებს, რადგან თექაზე მუშაობით, შემდეგ კი ფაჩუჩების, თოჯინების კერვით ხელები სულ დაჩხვრეტილი მქონდა ნემსისგან. მერე რა?! ოჯახს ხომ ვეხმარებოდით იმ გაჭირვების წლებში. თანაც ეს საქმიანობა სიამოვნებას მანიჭებს. ჩვენ ვაკეთებდით ფაჩუჩებს, შარფებს, კახურ ქუდებს, შლაპებს, ჟილეტებს და ყველაზე დიდი მოთხოვნა თბილისშიც და მცხეთაშიც ტურისტებისგან ფაჩუჩებზე იყო. დედამ პირველად 2003 წელს თბილისში, ლესელიძის ქუჩაზე არსებულ გამოფენა-ბაზრობაზე წაიღო და ჩააბარა. შემდეგ კი, მცხეთამაც კი მოგვცა შეკვეთები. ძალიან ლამაზი თოჯინები გამოგვდიოდა, კვირაში 70 თოჯინაც კი გამიკეთებია...

სიყვარულით გამთბარი თვალებით მიყურებს ქეთი და საინტერესო, წარმატებულ გამოფენა-დათვალიერებებზე მესაუბრება, სადაც დედამისის, მისი დის და საკუთარი ხელებით შექმნილი ნაკეთობები იყიდებოდა.

2019 წელს ქეთის გაცვლითი პროგრამით იტალიის ქალაქ ტურინში სამი თვით მოუწია ტრენინგის ჩატარება. ამავე წელს 3



თვით – პარიზში. იტალიაში, ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტები ყველაზე მეტად მისი ლექცია-საუბრებით ინტერესებოდნენ, ეცნობოდნენ საქართველოს და უფრო მეტად კახი კალაძეზე ესაუბრებოდნენ, რომელიც ძალიან უყვარდათ. ერთი მისი მეზობელი ნაცნობიც აღმოჩნდა და ინტერესიც მეტი ჰქონდათ საქართველოს კულტურის, ხელოვნების მიმართ. ასევე იყო პარიზშიც. თვითონაც უკვირს, რა ინტერესით უსმენდნენ იტალიაშიც და საფრანგეთშიც, როგორ ცდილობდნენ გარკვეულიყვნენ, რა დიდი, ძველი ისტორიის მქონე ერი ვართ-ო.

ქეთიმ გასულ წელს 26 ივნისს პანდემიის გამო სკოლაში სასწავლო წლის დასრულების შემდეგ საგარეჯოს მოაშურა და საკითხიც დაისვა – უამრავი ხალხი აკითხავდათ, ზოგს საბანი, ლეიბი, ბალიში, მუთაქის შეკერვა უნდოდა. ქეთი და მისი ოჯახი კი სად აღარ ამისამართებდა. გადაწყვიტა, თავად მიეღოთ შეკვეთები და შეეკერათ გასული წლის 1 ივლისიდან დაიწყეს და იმდენი შეკვეთები მიიღეს , ვეღარც კი აუდიოდნენ. ბევრი ადამიანი გაიცნეს, მათი გემოვნებაც გაითვალისწინეს და დიზაინს ისეთს სთავაზობდნენ, კლიენტი მადლობელი რჩებათ.

ქეთი და გვანცა მეტად კომუნიკაბელურები, საოცრად თბილი გოგონები არიან. ის, რაც იციან, არასოდეს ჯერდებიან, ეძებენ ახალს, უფრო სხვანაირს, ძველ, ტრადიციულთან ახლის შერწყმით ცდილობენ მიიღონ ის, რაც გვაკვირვებს, უფრო დააინტერესებს საქართველოთი მათი ნახელავის შემსყიდველ უცხოელს. მათ შემოქმედებას საქართველოს თითქმის ყველა რეგიონი გაეცნო, იტალია, საფრანგეთი, ხოლო მათი ნამუშევრების ნახვა და ყიდვა დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ საიტზე... საბმებისა და ლეიბების კერვა ფეისბუკზე – The art room



# თამარ ჯაბადარი

## უშენობის ორმოცი დღე ...



**არასოდეს** ასე არ გამძნელებია წერა,რამდენი სათქმელი დამიგროვდა, მოსაფერებელი, მაგრამ მონატრება ყველაფერს ჭარბობს..

ვწერ და სული მიტირის,არ მინდა, მაგრამ უნებურად...

დაგპირდი, რომ ჩემი გულიდან და გონებიდან არსად გაგიშვებდი,არსად,მხოლოდ უფალთან...

უშენობის ორმოცმა დღემ ბევრი რამ გადამაფასებინა,შენი ამ ქვეყნიდან გასვლაც კი დიდი გაკვეთილია ჩემთვის.

მე, წუთისოფლის სტუმარი მარადისობაში გადასახლებულს ვცდილობ ხმა მოგაწვდინო.

გითხრა, რომ ძველებურად და კიდევ უფრო ძვირფასი ხარ ჩემთვის. სულ მემახსოვრება,შენ მე ფრთები და მზით სავსე ხურჯინი მაჩუქე...

გვახსენდება 1990 წელი... როგორც შენ იტყოდი, იალტა, გურზუფი და ფერები! შენ -ცარიცა, ტამარა და მე პატარა გოგოშკა. ვისაც რა უნდა ის ეთქვა შენ გიყვარდა ეგ დროც! იმ ხიბლს აფასებდი, რომელიც თან ახლავს: წარსულს,აწმყოს და მომავალს.

1990 წელი, ეს ის დროა როცა ოცნებებს გამოკიდებულები ვცხოვრობდით (მე მაშინ არ ვიცოდი,რომ ოცნებების უმეტესობა ამიხდებოდა) ეს ის დროა სკოლის მერხიდან, დედა უნივერსიტეტის სტუდენტი რომ გავხდი, შენ ასე ახალგაზრდა, ლამაზი დირექტორი. მოკლედ, ცა ქუდად არ მიგვაჩნდა, დედამიწა ქალამნად. ჩემი გასტუდენტების ჯილდოდ, „არტეკში" წამიყვანე. „არტეკს"ხომ ოცნებაშიც ვერ წარმოვიდგენდი,მაშინ ვიფრინე პირველად,მაშინ ვნახე პირველად საზღვაო პორტი.რა დამავიწყებს, დილით აივანზე გამოსულს,თვალს ატკბობდა მოლივლივე ზურმუხტისფერი ზღვა,საღამოობით ფეხით მოსიარულეებს ტალღების შრიალი მიგვაცილებდა... როგორც კი დრო გამოგიჩნდებოდა,მაშინვე იწყებოდა ჩვენი მოგზაურობა,რა არ ვნახეთ,სად არ ვიყავით,იალტა,ალუშტა,სევასტოპოლი,სიმფეროპოლი,ვორონცოვის სასახლე, ზღაპრების ველი და კიდევ ვინ მოსთვლის... მაგრამ გურზუფი სულ სხვა იყო.შენ ან წყალში იყავი,ან ირუჯებოდი,,მე,მე სანაპირო ზოლს ავუვლიდი და ჩავუვლიდი,ხან რომელი მხატვრის მოლბერტთან გავჩერდებოდი,ხან რომელთან...

ტრანსპორტში ენას არ ვაჩერებდი, ათას რამეს გეკითხებოდი, შენ ხომ ყველაფერზე გქონდა პასუხი. ტრანსპორტში, თუ არ ვცდები ტროლეიბუსში, რომლითაც უკან ვბრუნდებოდით, ყოველ ჯერზე,შენ წინ ჯდებოდა, მაღალი წვერიანი, გახუნებული ბერეტით თავზე, მოლბერტით ხელში, მხატვარი, რომელიც გურზუფის სანაპიროზეც,ზოგჯერ ხატვას თავს ანებებდა და შემოგცქეროდა...ერთ დღესაც თავი ვერ შეიკავა და გამოგელაპარაკა, შენ უპასუხე, როცა გაიგო ქართველები ვიყავით, ქება დიდება არ დაიშურა, მზიური საქართველოსთვის, ბოლოს კი სახელიც გკითხა და როდესაც შენ უპასუხე, აქ მოხდა მთავარი, – ცარიცა ტამარა! შესძახა,შენ ფერხთით დაეცა და შენ მარჯვენა ხელს საამბოროდ წაეპოტინა. საოცარი სანახაობა იყო,შენ გაღიმებული, სახეალეწილი და უზომოდ ლამაზი. ჩაჩოქილი მხატვარი,გახუნებული ბერეტით და მე სიხარულით,აფხუკუნებული"(ხმამაღლა სიცილი ვერ შეგკადრეთ) მგზავრები რომლებიც გაღიმებულები შემოგცქეროდნენ,ასე გახდი „ცარიცა". ჩემი „ცარიცა"

მენატრება ის დრო...

*ეკა-ჭიკაძე-ვეშაპიძე*

რედაქტორი:
თინათინ ილაური

„გარეჯის მაცნეს" გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე"
გაზეთი რეგისტრირებულია სსიპ „საჯარო რეესტრში" სარეგისტრაციო ნომერი 281366; საიდენტ. კოდი 438107460. ტირაჟი – 300
რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო,
დ. აღმაშენებლის ქ. № 15,
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნეში"
დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა „კოლორ-პრესში".
ტელეფონი: 599 851 143
ელ. ფოსტა: garejismacne11@gmail.com; gareji2011@mail.ru